

გაზეთი ბეჭდის, „ვესტის“ ერთი

ვესტი

ფასი 60 თეთრი



ორშაბათი

ოთხშაბათი

პარასკევი

№98 (1124) 5 - 6 ოქტომბერი, 2015 წელი

ნიკო ნაფიკაშვილმა პრეზიდენტობა გადაიფიქრა?

რაცომ გადადო სადამური გვერდზე, რას საქმიანობდა აშშ-ში და რა მიზნით დაბრუნდა საქართველოში ცრიო „საუნჯის“ ნევრი

არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ

გვ. 5-6



ირაკლი ლარიბაშვილმა გაერო-ს ტრიბუნლიდან აუხაჯებსა და ოსებს მიმართა



გვ. 4

საქართველოს პრემიერის გზავნილები მსოფლიოს

„ჩვენი კულტურა, ისტორია და რელიგია ყველაზე მეტად დასული სწორად ევროპულ ოჯახში იქნება!“

„ქველ ყავარჯნებს შავაბროვებით, ხაფხაფს ნავუკიდავით და პარლამენტის წინ კოფონს შამოვუსსღაბით!“



გვ. 12

აფხაზეთის ომის ამჟღავნები ფეხბურთელები სახედმნიფოსგან დახმარებას ითხოვენ

პანოს „ნარუშილოვკიანი ზონდერები“



გვ. 13

პატრიარქის ღლიუკი

როგორ ვუთღებოდეს თვეში 10 ათასი დოდარი სვეცსაშვიით

გვ. 11



რას ნიშნავს ევროპასთან უვიბო მიმოსვდა და რას ითხოვს ევროკავშირი ქართვედი მენარმეებისგან — ექსკლუბიური ინტერვიუ სახედმნიფო მინისტრ ღავით გაქრაქანსთან

მარინუანას მოწვევისთვის აღაგიანს აღარ ღაიჭარან!

ნებადართუდის თუ არა ქუჩაში „ბადახის“ მოწვევა და რა შემთხვევასში დაჯარიმდება პირი

სახედმნიფო ნარკომომხმარებელთა მიმართ პოდიცივას ცვდის

გვ. 3



WOMEN'S FUND IN GEORGIA
ქალთა ფონდი საქართველოში

პრეზიდიდენტული „ქალი ფონდი საქართველოში“ შტაბი

არა ქაღალდობანს!

გვ. 7-10

დიტო გელოვანი

ტრადიციული განვითარების ეტაპზე „რქიანი“ გაცუცურავეს კმარს ნიშნავდა, მოდერნულ ეტაპზე „გომის“, „სოფელის“, „ქაჯის“. რას ნიშნავს ამ ეტაპზე სიტყვა „რქიანი“? ამ კითხვაზე პასუხისათვის უნდა გავიხსენოთ სააკაშვილის ცნობილი თეორია „ჩარეცხვის“ შესახებ. ამ თეორიის თანახმად, უნდა განხორციელდეს ჩარეცხვის მისტიკური აქტი (ტოლფასი წარღვრის პირველადი რეინკარნაციისა).

(კახა კაციტაძე, „რიცხვ“ სამის“ მისტიკისა და სააკაშვილის პოსტმოდერნის შესახებ“ 2011წ.)

გორც ექვსი წლის წინ, სრულიად გასაიდუმლოებული ვითარებაში შემოიარეს და 47 ათასი ევრო დახარჯეს 11 მარტივი ცნების ჩამოსაწერად, დაირქვეს „ეურნალისტური ეთიკის ქარტია“ და ახლა, ვინც მათთან არის, მდიდარი და ეთიკური, ხოლო ვინც მათთან არ არის — უზრდელი და მათხოვარი.

გვარამია-კეზერაშვილი — სიყვარული რეისტრში



„თავისუფალი ზონისა“ და ნაციონალური მოძრაობის ოთხმა წევრმა წუხელ, ქუთაისის მეორის შენობასთან უვადო მიმშვილობა დაიწყო. ამ ფორმით ისინი მხარდაჭერას უცხადებენ იმ სამ ადამიანს, რომლებიც 2 ოქტომბერს, ქუთაისში, პარლამენტის შენობასთან „რუსთავი 2“-ის მხარდამჭერ აქციასზე მომხდარი ინციდენტის შედეგად დააკავეს. 2 ოქტომბრის აქციის მიმდინარეობისას მონაწილეებმა და დეპუტატ დავით ლორთქიფანიძეს შორის სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება მოხდა, რომლის დროსაც დეპუტატს პიჯაკი შემოახიეს.

და, მაგრამ გაუგეს და დიდი კოვზი იმაში ჩაუვარდათ, რასაც დიდი კოვზებით მიირთმევენ. ახლა, დგანან და მათხოვრობენ, თითო ლარი გადმოგვირიცხა. კეზერაშვილი რომ გადმოურეცხოს — არა? რატომაც არა! ოღონდ, ეგრე, პირდაპირ კი არა, არამედ ირიბად. მაგალითად, კეზერაშვილი შემოვლით გზებით ურიცხავს თავისუფალ დემოკრატებს, ურიცხავს სოროსის ფონდს, ურიცხავს თავისუფლების ინსტიტუტს და სხვა ენჯუებს, ურიცხავს ვილადებს და ა.შ.

ესენი კი, თავის მხრივ, ურიცხავენ ერ 2-ს. ჩვეულებრივი სქემაა, თითქოს არანაირი რისკი, მაგრამ ეს — ერთი შეხედვით, სინამდვილეში კი რისკი დიდია, რისკი იმისა, რომ გადაადგები. ეგეთი, სიტყვიერი შეთანხმება და შეთანხმების შესრულება ნებისურთხად მოდის, ამათბი კი, რომელია ნესიერი? აი, მაგალითად, ერთი შეხედვით, ნესიერი ამბავი: „არასამთავრობო და მედიაციური ნაწილობრივი ეთოპოლიტიკური კამპანიის „დაიცავი თავისუფლება“ იწყებენ. კამპანიის მიზნების პრეზენტაცია დღეს სასტუმრო „რუსთაველი“ გაიმართა. კამპანიის ორგანიზატორების განცხადებით, საქართველოს რუსული ნარატივის სახის შენარჩუნებისთვის, სანამ ჯერ კიდევ გვინა არ არის. ჩვენ მოგმართავთ ყველა ვითარებაში, როდესაც დაგვიხებთ, იდეით ჩვენ გვერდით, იარაღით ჩვენთან ერთად სასამართლო პროცესებზე, დავანახობთ ამ ხელისუფლებას, სასამართლო ხელისუფლებას ჩვენნი ძალა — თავისუფალი სიტყვის და უკეთესი მომავლის რწმენა იმისა, რომ ყველაფრის ყიდვა და დაყვადება არის შეუძლებელი. მერღობა, ამას რომ ვაკეთებ, მაგრამ ყურადღება მიაქციეთ ანგარაჟს, ერთი ლარი კი იქნება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი, დაეხმარეთ „რუსთავი 2“-ს და მისი სახით თავისუფალ სიტყვას. ჩვენ პირობას გაძლევთ, რომ დავიცავთ თქვენს ინტერესებს ხელისუფლებასთან და არასდროს დაგტოვებთ მარტო პირისპირ მატყუარა ხელისუფლებასთან, რომელსაც ქართული დემოკრატიისთვის დღეს განაჩენი გამოაქვს. მოუწოდებ ყველას, რომ აღადგინონ სტატუსკო „რუსთავი 2“-ს მისცენ სამუშაო, გააკეთებ ყველაფერი, რაც თქვენს ხელს არის იმისთვის, რომ საქართველოში დემოკრატია არ განადგურდეს და ჯერ კიდევ აზრი ჰქონდეს არჩევნების ჩატარებას იმიტომ, რომ თავისუფალი მედიაციური გარეშე, არჩევნები როგორც უნდა ჩატარდეს, არ იქნება არჩევნები, ეს იქნება ხელისუფლების მითვისება და ამას ქართველი ხალხი არასდროს დაუშვებს“, — სხვა ვინ იტყვოდა ამას, თუ არა ნიკა გვარამია? და სხვა ვინ დაუკრავდა კვერს თუ არა გიორგი გაბუნია? ვინ ჩამოუშვებდა ცხვირს, თუ არა ნოდარ მელიაძე და ვინ გადაყლაპავდა ხარს, თუ არა ზაალ-ბადრიჯან უდუმავილი?

ენგლოვანია, იმის გათვალისწინებით, რომ პრორუსული ორგანიზაციები, რომლებსაც ულელი ფული და რესურსი გააჩნიათ, გადიან რეგიონებში და ცდილობენ, გავლენა მოახდინონ ჩვენს მოქალაქეებზე, რომლებიც ერთგვარ ინფორმაციულ მიმომხსნაში განიცდიან. რაც შეეხება იმას, თუ რა ფინანსებით აპირებენ აღნიშნული კამპანიის განხორციელებას პლატფორმაში შემავალი ორგანიზაციები, ტაბლიაშვილი აცხადებს, რომ ეს არის საზოგადოებრივი საწყისებზე დაფუძნებული კამპანია, რომელიც დამოკიდებული იქნება შემონიშნულობებზე და ადამიანების კეთილ ნებაზე. ანუ, იმ ხალხს, მე რომ პრესა.გე წამართვა, ჩემი კეთილი ნებით უნდა მივეცე ფული, რისთვისაც უნდა გავიყიდო ფორ.გე, და თუ ასე არ მოვიქცევი, მოვლენ ხელისუფლებაში და ფორ.გე-ს წამართმევენ. ჩართევას ჩაყოლა ჯობიაო, ძმაოო... თქვენი კი ჩავითრიათ არმაგედონის ზანგმა. „კამპანიის „დაიცავი თავისუფლება“ ფარგლებში შემდეგი ერთი წლის განმავლობაში საქართველოს თითოეულ რეგიონში შედგება სამდღიანი ვიზიტები და ადგილობრივ მოსახლეობას შესაძლებლობა მიეცემა, შეხედოს და გაესაუბროს საზოგადოების გამომწვევს წარმომადგენლებს და მათთან ერთად განიხილოს ის პრობლემები, რასაც აწყდებიან და მოისმინოს ფაქტებზე დაფუძნებული არგუმენტები საქართველოს ევროკავშირის არჩევანის სასარგებლოდ“ — ესეც იმ ოპერებიდან არის. ტირიან, ფული არ გვაქვს, ერთი წლის განმავლობაში თითოეულ რეგიონში სამდღიანი ვიზიტები კი უკვე დაგეგმილი აქვთ. „რაც შეეხება პოლიტიკოსების ჩართვას აღნიშნული კამპანიაში, ორგანიზატორების თქმით, ეს არ იგეგმება“ — ყველაზე საინტერესო კი ეს არის, თუმცა იმდენად საინტერესო არ არის, რამდენადაც სასაცილო. აი, სად არის საჭირო დაგინების ინსტიტუტი! ჩემი ვასალის ვასალი, ჩემი ვასალი ვარ არისო — ეს ადრე იყო. დღეს ვასალებს დამფუძნებლები ჰქვიათ, დამფუძნებლის დამფუძნებელი კი, თავად არის დამფუძნებელიც, მმართველიც და წარმმართველიც. მაგალითად ერ 2-ის დამფუძნებელი არის შპს „ტელეკომპანია საქართველო“, რომლის დამფუძნებლებიც არიან ძმები ყარამანაშვილები, ხოლო ძმები ყარამანაშვილები, როგორც ცნობილია, მიხეილ სააკაშვილის მიერ არიან დაფუძნებულები. რაც შეეხება სოფელ-სოფელ მოსიარულე ევროპოპოპაგანდისტების გაერთიანებას, სხვებს რომ თავი დავანებოთ, აქ ჩერგოლევილის გვარიც კმარა, სიტუაციის მიუხედავად რომ დავრწმუნდეთ. სოფელ-სოფელ მონაწილე ევროპოპოპაგანდისტების გაერთიანება დააფუძნა ჩერგო-თამარამ, ხოლო ჩერგო-თამარამ დამფუძნებელი მამა, ესეც ყველამ იცის, ისეც და ისეც არის —

„თავისუფალი ზონისა“ და ნაციონალური მოძრაობის ოთხმა წევრმა წუხელ, ქუთაისის მეორის შენობასთან უვადო მიმშვილობა დაიწყო. ამ ფორმით ისინი მხარდაჭერას უცხადებენ იმ სამ ადამიანს, რომლებიც 2 ოქტომბერს, ქუთაისში, პარლამენტის შენობასთან „რუსთავი 2“-ის მხარდამჭერ აქციასზე მომხდარი ინციდენტის შედეგად დააკავეს. 2 ოქტომბრის აქციის მიმდინარეობისას მონაწილეებმა და დეპუტატ დავით ლორთქიფანიძეს შორის სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება მოხდა, რომლის დროსაც დეპუტატს პიჯაკი შემოახიეს. დაკავებული არიან ნიკა ნარსია, მირიან დვისაძე და კახა გაბუნია“, — კვირის ბოლოს იუნსეებოდა ჩემი მეგობარი სააკაშვილი.

ახლა, რა მოხდა... კეზერა ერ 2-ს ყიდულობ-

მიხეილ სააკაშვილი. და თუ ვინ არის თავად სააკაშვილის დამფუძნებელი, არც ეს წარმოადგენს საიდუმლოს — კავებესა და ფეხებს გენერალი, თემურ ალასანია. რას გაუგებ ამ კავებებშიკებს... მოკლედ, ნრე შეიკრა — კავებებ დააფუძნა ალასანია, ალასანია — სააკაშვილი, სააკაშვილი — ჩერგოლევილი, ხოლო ჩერგოლევილი — სოფელ-სოფელ მოსიარულე ევროპოპაგანდისტების გაერთიანება. ამათ რომ კაცი შეხედავს, იფიქრებს რაიმე კარგს და კეთილი ბებერ ევროპაზე? უმაღ, ბებერ დედას და ნორჩ კეთილეს მოუხსენიებს და იქნება ასე. თუმცა, მაგათაც რომ არ შეხედო, ისედაც არაფერს იფიქრებ კარგს. სწორედ გასულ კვირაში იყო, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ ცნობილი რეზოლუცია რომ მიიღო. ისე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დამადასტურებელი ათასობით რეზოლუციისა და ერთი „მაპზე უკეთესის“ შემდეგ სხვას რას უნდა ელოდო, მაგრამ, უზრდოდ, გულდასაწყვეტია, ტეთჩერის, კოლის და მიტერანის შემდეგ, „ლედე ზეგელინისა“ და „პინკ ფლოიდის“ შემდეგ, ჯორჯ ბესტისა და ფრანც ბუკენბაუერის შემდეგ, კამიუსა და ორუელის შემდეგ, ევროპა ოლანდის, ბიონსეს, გეგა გობეჯიშვილის და პაულო კოელიოს საჯიჯგნი რომ გახდა.

(კახა კაციტაძე, „რიცხვ“ სამის“ მისტიკისა და სააკაშვილის პოსტმოდერნის შესახებ“ 2011წ.)

გაერო-ს 70-ე სესიაზე საქართველოს მთავრობის მეთაურმა ჩვენს ქვეყნის შესაძლებლობებზე, მიღწეულ შედეგებსა და გამოწვევებზე ისაუბრა. საქართველოს ეკონომიკურ შესაძლებლობებსაც გაუსვა ხაზი და დამსწრე საზოგადოებას საქართველოს შესახებ მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის შედეგები გააცნო, რომლის მიხედვითაც, საქართველო მიღწეული ჯამური პროგრესით, რეიტინგების ექვსივე მაჩვენებელში ლიდერობს. ამასთან, ირაკლი ლარიბაშვილმა აბრეშუმის გზის ფორუმზეც გაამახვილა ყურადღება და განმარტა, რომ აბრეშუმის გზის აღდგენა აზიასა და ევროპას შორის ეკონომიკურ-კულტურული კავშირების გაღრმავების მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა, რადგან აბრეშუმის გზა მსოფლიო მოსახლეობის ორ მესამედს და მთლიანი შიდა პროდუქტის 60 პროცენტს მოიცავს.

პრემიერმა საქართველოს მთავრობის უწყვეტად განხორციელებულ პოლიტიკას ისაუბრა, რომელიც კანონის უზენაესობას, მედიის თავისუფლების განმტკიცებასა და თანამედროვე ეკონომიკის მშენებლობის საკითხებს ეხება. გარდა ამისა, გაერო-ში სიტყვით გამოსვლისას პრემიერი წარმატებით ჩატარებულ 2013 წლის საპრეზიდენტო და 2014 წლის ადგილობრივ არჩევნებს, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით გრძელვადიან სტრატეგიას, ანტიდისკრიმინაციულ კანონსა და განათლების სფეროსაც შეეხო და გაერო-ს ტრიბუნლიდან ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობასაც მიმართა:

„ჩვენ შორის არსებული კავშირების უფლებდამფარველად და ჩვენს ერების დაშორების ყველა მცდელობა წარუმატებელი იქნება. თქვენ სარგებელს ნახავთ საქართველოს მზარდი ეკონომიკიდან და ევროკავშირთან ჩვენი ასოცირების ხელშეკრულებიდან, გააქტიურებული ვაჭრობისა და ვიზების ლიბერალიზაციის ჩათვლით. ჩვენი თანამშრომლობა წარმატებასა და სარგებელს მოგვცანს“.

გაერო-ს გენერალური ასამბლეის 70-ე სესიაზე სიტყვით გამოსვლისას საქართველოს მთავრობის მეთაურმა ყურადღება ქვეყნის წინაშე არსებულ შიდა და გარე გამოწვევებზეც გაამახვილა. მისი განმარტებით, რუსეთი საქართველოს სუვერენული ტერიტორიების უკანონო ცონტროლს აგრძელებს:

„სამწუხაროდ, გაერო-ში ჩემი ბოლო გამოსვლის შემდეგ რუსეთის ფედერაციამ ხელი მოაწერა სოხუმსა და ცხინვალთან ე.წ. ინტეგრაციის შეთანხმებას. ასე რომ, რუსეთი განაგრძობს თავისი უკანონო კონტროლის განვრცობას საქართველოს სუვერენულ ტერიტორიებზე. ვგმობ ამ მცოცავ ანექსიას და რუსეთის მხრიდან საერთაშორისო სამართლის უფლებდამფარველად“.

ამის ტრავმატიკული შედეგი კი ისაა, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობას ართმევენ თავისუფალი ადამიანების კუთვნილ ფუნდამენტურ უფლებებს. დე ფაქტო მთავრობებმა ახლახან მიიღეს დამატებითი ზომები, რომლებიც უფრო ლახავს ქართველებისთვის მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლებას.

მიმოსვლის თავისუფლება და თავისუფალი სახელმწიფოს ძირითადი უფლებები ფეხქვეშ არის გათელილი, ასევე დამსხვრეულია იმედი და ოცნებები იმ ეთნიკური წმენდის ასობით ათასი მსხვერპლისა, რომელთა ერთადერთი სურვილი შინ დაბრუნებაა“.

პრემიერის თქმით, რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზება ჩვენი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხარჯზე არ მოხდება და საქართველოსთან მიმართებაში რუსეთის ფედერაციის მხრიდან საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება მნიშვნელოვანია.

გაერო-ში ირაკლი ლარიბაშვილმა საერთაშორისო უსაფრთხოებაში საქართველოს მიერ შეტანილ წვლილზე, საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციასა და უსაფრთხოების საკითხებზეც ისაუბრა. მისი თქმით, საქართველომ არაერთხელ დაადასტურა, რომ მზადაა, უსაფრთხო საერთაშორისო გარემოში უზრუნველსაყოფად იმაზე მეტი გასცეს, ვიდრე მოეთხოვება.

„შარშან გამართული ნატო-ს სამიტის შემდეგ, ალიანსი დათანხმდა საქართველოსთვის პრაქტიკული მხარდაჭერის არსებითი პაკეტის მინიჭებაზე, რომლის მიზანია საქართველოს შეიარაღებული ძალების გაძლიერება და ჩვენი, როგორც ნატო-ს მოკავშირის, ინტეგრირების დონის ამაღლება“, — აღნიშნა ლარიბაშვილმა.

საქართველოს მთავრობის მეთაურმა გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეფორმასთან დაკავშირებით მიმდინარე სახელმწიფოთაშორის მოლაპარაკებები, რომელთა მიზანია კრიზისულ სიტუაციებში გაერო-ს ეფექტიანობის გაზრდა, დადებითად შეაფასა. მისი თქმით, რეფორმას საფუძვლად უშიშროების საბჭოში მცირე სახელმწიფოთა როლის გაზრდა, ვეტოს უფლების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილება და სამუშაო მეთოდების გაუმჯობესება უნდა დაედოს.

„ვხედავ ქვეყანას, სადაც ყველა ყმანვილსა და გოგონას ხელი მიუწვდება ხარისხიან განათლებაზე, სადაც ადამიანებს არ აშინებთ ჯანდაცვისა თუ თავიანთი ოჯახების დაცვისთვის, კეთილდღეობისა და ხვალინდელი დღის უზრუნველსაყოფად აუცილებელი რესურსების არარსებობა“, — აღნიშნა

ირაკლი ლარიბაშვილმა გაერო-ს ტრიბუნლიდან აფხაზეთსა და ოსებს მიმართა



საქართველოს პრემიერის გზავნილები მსოფლიოს

გაერო-ს გენერალური ასამბლეის 70-ე სესიაზე საქართველოს მთავრობის მეთაურმა.

საქართველოს ვიცე-პრემიერის, საგარეო საქმეთა მინისტრ გიორგი კვიციანიძის თქმით, გაერო-ს გენერალური ასამბლეის 70-ე სესიაზე პრემიერის გამოსვლა უმნიშვნელოვანესი უნდა იყოს: „გაუფრთხილები, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის 25 წლის თავზე კიდევ ვვალდებულები უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობის კუთხით; ის, თუ რა ჰუმანიტარული მდგომარეობაა საოკუპაციო ზოლის გასწვრივ, მიმდებარე სოფლებში; ის, რომ ადამიანებს არ აქვთ საშუალება, მიიღონ განათლება მშობლიურ ენაზე“.

გაერო-ში საქართველოს ელჩის, კახა იმნაძის თქმით, „ირაკლი ლარიბაშვილმა ისაუბრა როგორც საქართველოს მიღწევაზე, რაც აღიარებულია მსოფლიო ბანკის თუ სხვა საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ. ასევე, ისაუბრა საქართველოს ხედვაზე, ქვეყნის მომავალ განვითარებასთან დაკავშირებით“. გაერო-ში პრემიერის გამოსვლას მინისტრთა კაბინეტის წევრებიც გამოეხმაურნენ. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის, კახა კახიანიძის განცხადებით, გაერო-ს ტრიბუნლიდანაც პრემიერის ძირითადი გზავნილი ქვეყნის დემოკრატიზაციას, დასავლეთსა და ნატო-ს კენსწრაფვას შეეხებოდა: „მესმის, პოლიტიკური ოპონენტები კიდევ დაინყებენ შეფუთვას, მაგრამ ამხელა ტრიბუნლიდან ასეთი მკვეთრი გზავნილების გაკეთება ზუსტად იმას ნიშნავს, რომ ეს არის ჩვენი განვითარების კურსი“.

ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური საქართველოს პრემიერის გაერო-ში გამოსვლას „ძალიან სოლიდურს“ უწოდებს. ხადური მიიჩნევს, რომ ირაკლი ლარიბაშვილმა იმ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც საქართველო დგას, ხაზი მკაფიოდ გაუსვა.

შს მინისტრ გიორგი მღებრიშვილის თქმით კი, „პრემიერ-მინისტრმა ნათლად და მკაფიოდ მიუტანა საერთაშორისო საზოგადოებას ქართველი ხალხის გზავნილი“.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუციაშვილმა განაცხადა, რომ ყველა ის ძირითადი აქცენტი, რომელიც პრემიერმა გაერო-ს ტრიბუნლიდან გააკეთა, მსოფლიო საზოგადოებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მისივე თქმით, პრემიერ-მინისტრმა ის, რაც ყველასთვის ცნობილია, კიდევ ერთხელ ნათელიყო: „ეს არის ჩვენი ქვეყნის უწყვეტი პოლიტიკური გზა ევროატლანტიკური ბლოკის მიმართულებით. ასევე, დავამოკიდებთ ანექსიას, რომელიც ხორციელდება და იმ მიღწევებზეც ისაუბრა, რომელიც ჩვენ ქვეყანას აქვს მმართველობის ნაწილი, შესაბამისად, ყველა ის ძირითადი აქცენტი, რომელიც გააკეთა, ძალიან მნიშვნელოვანია მსოფლიო საზოგადოებისთვის“.

გაერო-ში პრემიერის წარმატებული გამოსვლისა და შიდა თუ საგარეო გზავნილების მიუხედავად, ნაციონალურმა მოძრაობამ მთავრობის მეთაურის სიტყვა მაინც

გააკრიტიკა. ნაციონალური მოძრაობის წევრებმა აღნიშნეს, რომ გაერო-ს მაღალი ტრიბუნა კიდევ ერთხელ არ იქნა გამოყენებული, რომ ზუსტად და გასაგებად დაგვეფიქსირებინა საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური არჩევანი, ასევე ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული პრობლემები.

როგორც ჩანს, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს გამოჩნდა, რომ პრემიერმა ორივე საკითხზე მსოფლიოს საკმაოდ მნიშვნელოვანი გზავნილებით მიმართა.

პრემიერ-მინისტრის გაერო-ში გამოსვლა დადებითად შეაფასა საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა: „მევენსაღმებელი გაერო-ს უმაღლესი ტრიბუნლიდან საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ საქართველოში ევროატლანტიკური კურსის, დემოკრატიული ღირებულებების, ეკონომიკური თავისუფლებისა და მმართველობითი ინსტიტუტების გაძლიერების მხარდაჭერას“.

გაერო-ში სიტყვის გამოსვლის შემდეგ, საქართველოს პრემიერმა განათლების საერთაშორისო ცენტრის მიერ დაფინანსებულ სტუდენტებს უმასპინძლა, რომლებიც სესიაზე ირაკლი ლარიბაშვილის გამოსვლას დაესწრნენ. მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების სტუდენტები გაერო-ს ტრიბუნლიდან პრემიერ-მინისტრის გამოსვლის მოსასმენად ნიუ იორკში სპეციალურად ჩავიდნენ. ახალგაზრდებთან შეხვედრაზე ირაკლი ლარიბაშვილმა ქვეყნის სამინაო და საგარეო პოლიტიკა მიმოიხილა. საუბარი მთავრობის მიერ დაგეგმილ პროექტებსაც შეეხო.

როგორც ნიუ იორკის უნივერსიტეტის სტუდენტმა ირაკლი ელიაშვილმა განაცხადა, პრემიერმა საქართველოს წინსვლის პოზიტიური მესიჯები გაახმოვანა: „დადებითად ვაფასებ პრემიერის გამოსვლას, რადგან გაახმოვანა საქართველოს წინსვლის პოზიტიური მესიჯები – ეკონომიკური ზრდა, მსოფლიო ბანკის ანგარიში და სხვა. გამოსვლის შემდეგ პრემიერმა სტუდენტებს გვიმასპინძლა და ყველაფერზე, რაც გვინტერესებდა, ვისაუბრეთ“.

პრემიერის გამოსვლას ნიუ იორკის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი ლევან სონღულაშვილიც დადებითად აფასებს.

აშშ-ში ვიზიტის დასასრულს, საქართველოს პრემიერი გაერო-ს გენერალურ მდივანს შეხვდა. გაერო-ს გენერალურმა მდივანმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დაადასტურა. ბორდერიზაციასა და რეგიონში კონფლიქტის მიმდებარე ტერიტორიებზე არსებულ ჰუმანიტარულ მდგომარეობაზე შეშფოთება გამოთქვა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გაერო-ს გენმდივანს დეტალურად გააცნო საოკუპაციო ხაზის გასწვრივ არსებული სიტუაცია და ხაზი ქართველებს, ოსებსა და აფხაზებს შორის ნდობის აღდგენის აუცილებლობას გაუსვა. მხარეებმა შეხვედრის ფორმატზეც ისაუბრეს. გაერო-ს გენერალურმა მდივანმა ყველა ამ საკითხსადმი საქართველოს მკაფიო მხარდაჭერა აღუთქვა.

მანო კავლიაშვილი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ბიჭი, რომელიც სალამურს უკრავდა და... თუ გგონიათ, რომ არჩილ სულაკაურის ცნობილი ზღაპარი — „სალამურას თავგადასავალი“ უნდა მოგიყვებოდეთ, ცდებით, თუმცა სალამური არა-ჩვეულებრივი ინტერვიუს დღევანდელი გმირის ბიოგრაფიაშიც ზომაზე მეტად ფიგურირებს... უფრო სწორად, კი არ ფიგურირებს, არამედ, ყველაფერი სწორედ სალამურით დაიწყო. დღეს კი, როგორც მითხრა, სალამური გვერდზე დროებით გადადო და დიდ პოლიტიკაში ჩართვა ერთადერთი მიზნით გადაწყვიტა. რა არის ეს ერთადერთი მიზანი? — აი, ამის გასაგებად ჩემი და ამჟამად სახალხო მოძრაობა მზიური საქართველოს თავკაცის, ნარსულში კი, ცნობილი ტრიო „საუნჯის“ ცნობილი წევრის, ნიკო ნადირაშვილის სიონის ეზოში გამართული დიალოგის, პრაქტიკულად, სტენოგრაფია უნდა წაიკითხოთ.

- ბატონო ნიკო, არაპუნქტუალური ხართ?
- (იცინის) რა თქმა უნდა, არა.
- რა ვიცი, შეხვედრაზე 24 წუთი დაიგვიანეთ...
- ბოდიშს გიხდით... ჩემი ბრალი არაა, „ტრაფიკები“... როგორც წესი და რიგია, ჯერ ვერ ავეწყვე...
- ქართულ რეალობას ვერ მოერგეთ?
- რას ბრძანებთ, მთელი ცხოვრება ქართულ რეალობას ვარ მორგებული...
- 20-წლიანი განშორების შემდეგ, თბილისი როგორ შეგხვდა?
- დიდი სიყვარულით...
- ხალხზე კი არა, დედაქალაქზე გეკითხებით — არ გეუცხოვათ?
- შენობა-ნაგებობები მეუცხოვა... უგემოვნოდა და თბილისს არ უხდება. არც ის მომეწონა, თავისუფლების მოედანზე მინა რომ გაუთხრიათ, ქალაქი ვიპოვეთო. ამდენი წელია, ეს ქალაქი არსებობს და არავის მოსვლია აზრად, გაეთხარა და ეს, თავისთავად, კითხვებს ბადებს.
- პრეზიდენტი რომ გახდებით, ამ „თხრილს“ ამოაქსებთ?
- ჯერ რა დროს პრეზიდენტობაა, სხვა მისიით ვარ ჩამოსული.
- სოციალურ ქსელში პრეტენზიას პრეზიდენტობაზე აცხადებდით და გადაწყვეტილება უკვე შეცვალეთ?
- საჭირო იყო და ასე ვამბობდი, თორემ სულ სხვა მისიით ვარ ჩამოსული.
- რა მისიით?
- ჩვენ 1991 წლის კონსტიტუცია, ის კონსტიტუცია, რომელიც ქართველ ერს წაართვეს, უნდა აღვადგინოთო.
- თუ ეს მიზანი გაქვთ, თავიდანვე რატომ არ გაამხილეთ?
- არ შეიძლებოდა.
- რატომ, საქართველოში არ ჩამოგიშვებდნენ?
- რა ვიცი...
- წელან თქვით, ჩვენო... ვინ თქვენ?
- ხალხი...
- პრეზიდენტობის კანდიდატობის, ასე ვთქვათ, ავანტიურა რაში დაგჭირდა?
- ეს ავანტიურა არ იყო...
- ხომ არ შეგაშინეს?
- არა, არა... საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭს აუცილებლად ვიყრი, ოღონდ ამ კი არა, აღდგენილი კონსტიტუციით.
- მხარდამჭერები გყავთ?
- ახლა გამოჩნდება...
- საქართველოში დაბრუნება 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს დაამთხვით... ყველაფერი თქვენ „გათვალეთ“ თუ „პიარშიკები“ და მრჩევლები გყავთ?

ნიკო ნადირაშვილს პრეზიდენტობა გადაიფიქრა?

რატომ გადადო სადამური გვერდზე, რას საქმიანობდა აშშ-ში და რა მიზნით დაბრუნდა საქართველოში ტრიო „საუნჯის“ წევრი



— მრჩეველი ბევრი მყავს... შეიძლება, თქვენც ჩემი მრჩეველი იყოთ, მაგრამ ამას ვერ გრძნობდეთ. მრჩევლებს თავად ვარჩევ, მაგრამ თვითონაც არ იციან...

— ჩემგან რა რჩევა მიიღეთ?

— პირველად შეხვედით და თუ ვიმეგობრებთ, მერე ვნახოთ... — საქართველოში მეტ-ნაკლებად პომპეზურ დაბრუნებაზე დიდხანს ფიქრობდით?

— პირველი დღიდან... მოგეხსენებათ, ტრიო „საუნჯე“ და მთელი ჩვენი ოჯახი აშშ-ში კონცერტებით წავიდა. ისე მოხდა, რომ კონცერტები გაგვიგრძელეს, მერე, საქართველოში უხერხული სიტუაციები დაიწყო და რატომღაც იქ შევრჩით — ჯერ ერთი ბავშვი გაჩნდა, მერე მეორე, მესამე, მეოთხე...

— ბატონო ნიკო, უხერხული კითხვა უნდა დავისვათ: მუდმივად პატრიოტიზმით აპელირებთ, მაგრამ მაშინ, როცა თქვენს ქვეყანას უჭირდა — დენი, წყალი და გაზი არ იყო, ადამიანები შიმშილობდნენ, რატომ არ დაბრუნდით?

— რომ ჩამოვსულიყავი, დავაპურებდი თუ რა?! თან ვხედავდი, რომ აშშ-ში ხალხი მასობრივად ჩამოდიოდა და ქართველების ნაკადი დღესაც არ წყდება, ყოველდღე, ლუკმა-პურის საშოვნელად, სამი-ოთხი ადამიანი ჩამოდის და რომ ვხედავდით, სიტუაცია ძალიან მძიმე იყო, რატომ დაბრუნდებოდით? რომ არ დაგიმალოთ, დაბრუნებას ნამდვილად ვაპირებდით, მაგრამ ფიქრობ, ყველაფერი ღვთის ნებით მოხდა...

— ანუ აშშ-ში ღვთის ნებით დარჩით?

— ალბათ...

— საქართველოდან რომ წახვედით, რამდენი წლის იყავით?

— ახლა 56 წლის ვარ და 20 წელი გამოაკელით...

— აშშ-ს მოქალაქე ხართ?

— არა... შემოძლია, აშშ-ს მოქალაქე დღესაც ვაგხდე, სტატუს-

სი მაქვს — განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანებს უფლებას აძლევენ, მუდმივ მაცხოვრებლებად ჩაითვალოს. ამას ათწლიანი ვადა აქვს და როცა ეს ვადა გავა, შეგიძლია, გააგრძელო ან მოქალაქეობა მიიღო... მოქალაქეობა მამაჩემმა მიიღო — ასაკშია და სოციალური დახმარება აქვს...

— საქართველოში მარტო ჩამოხვედით თუ ოჯახის რომელიმე წევრთან ერთად?

— მარტო...

— რამდენ ხანს დარჩებით?

— ვიდრე მიზანს არ მივაღწევთ, აქ ვიქნები და, საერთოდ, საქართველოში დავბრუნდი!

— ბატონო ნიკო, მართლა გჯერათ, რომ 1991 წლის კონსტიტუციას „დააბრუნებთ“?

— ვინმეს გასჩენია კითხვა, ის კონსტიტუცია რატომ გააჩერეს?

— ამ კითხვაზე პასუხი იცით?

— ბევრი რამ ვიცი, მაგრამ ჯერჯერობით თავს შევიკავებ...

— ბევრი რამის ცოდნა პირობითია. მაინც, რა იცით?

— ამკარაა, რომ ის კონსტიტუცია გააჩერეს...

— იმის თქმა გინდათ, რომ ეს ქართველობასა და ეროვნულობასთან ბრძოლის გამო მოხდა?

— ამაზე ჯერ ვერ გიპასუხებთ... თავისუფლების მოედანზე ოფიციალურად განვაცხადე, რომ...

— მაპატიეთ და, დიდხანს დაანონსების მიუხედავად, თავისუფლებაზე, როგორც ვიცი, არცთუ ბევრი ხალხი დაგხვდა...

— ხალხის რაოდენობას ჩემთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა. სასურველია, უფრო ბევრი ყოფილიყო, მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, რაღაც ძალებმა იმუშავეს, რომ ხალხი არ მოსულიყო...

— ჩამოსვლამდე, „სტატუსებით“, ხელისუფლება ჩემს წინააღმდეგ ხალხს ამუშავებო...

— ახლაც ამუშავებს, მაგრამ ამას ყურადღებას არ ვაქცევ, რადგან მაქვს მისია, რომელიც შესრულდება.

— ხუმრობა-იუმორთან როგორ ხართ?

— ძალიან კარგად...

— თქვენი ტელეფონის ნომრის ბოლო სამი ციფრი 007-ია. ჰოდა, ადამიანმა, ვინც ნომერი მომცა, იხუმრა, ეს კაცი აგენტიაო...

— (იცინის) ყურადღებაც არ მიმიქცევია...

— მოკლედ, რაღაც მისია გაქვთ, რომელსაც არ მიმხელთ, პრეზიდენტობის თემაც მიზანმიმართულად შემოაგდეთ... ვინმემ გამოგზავნათ?

— რას ჰქვია, ვინმემ?

— ვთქვათ, ამერიკულმა სპეცსამსახურებმა...

— ვინ არიან, ვიცნობ, მიცნობენ?! არც მაგათი სპეცსამსახურები მაინტერესებს, არც — თქვენ!

— აშშ მოგწონთ?

— იცით, რა? — აშშ-ში ბევრი კარგი და ცუდი ხდება, მაგრამ სამწუხაროდ, საქართველოში წინა ხელისუფლებებმა ცუდის დანერგვა დაიწყეს, კარგი კი არ გადმოაქვთ. მაგალითის აღება თუ გინდა, შე დალოცვილო, ის აიღე, რაც კარგია და შენს ქვეყანას მოერგება, რაღა მაინცდამაინც ისეთ რაღაცებს ნერგავ, რაც შენს წარსულს, დღევანდელობას ანგრევს და მომავალსაც საფრთხეს უქმნის!

— ესე იგი, აშშ არ გვრყენის?

— შენ თუ თავად არ გინდა, ვინმემ ძალით როგორ უნდა გაგრყენას, ეს ხომ აბსურდია, თუმცა მექმნება შთაბეჭდილება, რომ რაღაც ძალები ჩვენს სარწმუნოებას გამალებით ებრძვიან.

— მასონები?

— არ ვიცი... ნურავის ექნება იმედი, რომ მართლმადიდებლობას დაამარცხებს!



ნიკო ნადირაშვილი

მე-5 გვერდიდან

— ნატო თუ რუსეთი?
— ბატონო?

— ნატო თუ რუსეთი?
— ნატო გულით მიყვარს და ვაფასებ, ოღონდ... ვაჩნაძე.
— მაშასადამე, მიიჩნევთ, რომ საქართველოს ხსნა ერთმონიურ რუსეთშია?
— ეს ვინ თქვა?... ჩვენი ხსნა უფალთან სიახლოვე, ერთობა, ერთმანეთის სიყვარული და ქართველი ერის გაერთიანებაა.
— როგორ უნდა გავერთიანდეთ?
— სიყვარულით...
— სიყვარული არ ისწავლება!
— არ არსებობს ადამიანი, რომელშიც სიყვარული არაა.
— ჩათვალეთ, რომ არ მიყვარხათ. თავს როგორ შემაყვარებთ?
— ჩემს სიყვარულს დაგანახებთ და თქვენც შეგიყვარდებით!
— გუშინ, ტელეფონით რომ გესაუბრეთ, მითხარი, სალამური გვერდზე გადავდეო. რატომ?
— დროებით...
— არადა, ხალხი სალამურით უფრო შეგიყვარებდათ...
— როცა პოლიტიკაში სერიოზულ ნაბიჯებს გადავდგამთ, ამისთვის დრო ნაკლები მექნება, თუმცა ვფიქრობ, ჩემთვის მაინც გამოგნახავ ხოლმე...
— ბატონო ნიკო, არ მიყვარს, როცა რესპოდენტი კითხვაზე არ მპასუხობს. ამიტომ, კონკრეტულად მპასუხეთ: პოლიტიკური პარტიის ან მოძრაობის დაფუძნებას გეგმავთ?
— გუშინ მოძრაობა უკვე დავარსე.
— რა ჰქვია?
— სახალხო გაერთიანება მზიური საქართველო. პირველი ბრძანდებით, ვისაც ამის შესახებ ვუთხარი...
— გაერთიანების მიზანი რა არის?
— ქართველი ერის გაერთიანება.
— მზიური საქართველოს წევრები ვინ არიან?
— ხალხი...
— ხალხი ფართო ცნებაა... თქვენს გვერდით ე.წ. ფეისები დგანან? ისე, ბავშვობაში ძალიან პოპულარული იყავით...
— მოძრაობა გუშინ გავხსენი და დღეს მარტო მე ვარ...
— უი...
— აუცილებლად მექნება შეხვედრები საზოგადოებასთან მთელი საქართველოს მასშტაბით, ყველგან — ქალაქი იქნება თუ რაიონი, ჩავალ და ხალხს დაველაპარაკები...
— სამშობლოში იმ კარგი ქვეყნიდან დაბრუნდით...
— (სიტყვას მანვეტიტინებს) უფრო კარგ ქვეყანაში დავბრუნდი...
— იმ კარგ ქვეყანაში მსგავს კითხვებს არ სვამენ, მაგრამ რაკილა აშშ-მდე შორია, უნდა გკითხოთ: სახალხო მოძრაობას ფინანსები, მინიმუმ, სამოძრაოდ სჭირდება. ოკეანის გაღმა წვლებით ნაშოვნ ფულს დახარჯავთ?
— დასამალი არაფერი მაქვს და აშშ-დანვე ვაცხადებდი, რომ ფული კი არა, გულიანი კაცი ვარ, რომელსაც თავისი ქვეყნისთვის კეთილდღეობა და ბედნიერება უნდა. თბილისში არც სახლი მაქვს — გავყიდე...
— სასტუმროში ხართ?
— არა, ჩემი მეუღლის ოჯახში... თუ მიმიღებთ, თქვენთანაც მოვალ...
— სიამოვნებით, მაგრამ თბილისში სახლი მეც არ მაქვს. დედოფლისწყაროში, კი ბატონო, ნამობრძანდით...
— ნამოვალ, ღამეს მანდ და ნებისმიერი ქართველის ოჯახში გავათევ.
— განა ღამის გათენებაზეა, მაგრამ სადღაც მაგაზეცაა იტყვიან, პავლიაშვილი ნადირაშვილის მოძრაობის წევრი გამხდარაო...
— უნდა გავხდეთ!
— რატომ უნდა გავხდეთ?
— იმიტომ, რომ ქვეყნის კეთილდღეობის იდეა ამაშია.
— ქვეყნის კეთილდღეობის იდეები მეც მაქვს და, სახალხო მოძრაობა რომ შექმნა, შემოხვალთ?
— თუ თქვენი იდეები აბსოლუტურად ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეობაა, ქედს პირველი მოვიხრი!.. ვიცი, რაც გნებავთ — იმ გეგმაზე ვილაპარაკო, რომელიც განერილია, მაგრამ მხოლოდ ზოგადად გეტყვით: საქართველოში გლეხობა ძალიან მაღალ რანგში იქნება აყვანილი! ხალხს მიტინგზეც ვუთხარი, უამრავი ქვა ვნახე, აიღეთ და თუ რომელიმე დანაპირებს არ შევიასრულებ, დამაყარე-მეთქი.
— ვათვალისწინებ და, სამწუხაროდ, ქვას ვინ ჩივის, თვალი კენჭსაც ვერ მოკვარი, თორემ შევინახავდი... მოკლედ, ამასობაში, ჩამოვყალიბდი: თქვენი მოძრაობის წევრი ვერ გავხდები.
— რატომ?
— იმიტომ, რომ ამ ქვეყნის სათავეში ქიზიყელი კაცი ძლივს მოვიდა და „ზემლიაკს“ არ გადავუდგები!
— ეგ რა შუაშია?!

— მინდოდა, მიმეცა, მაგრამ რეგისტრაციაში არ ვიყავი გატარებული... ჩვენს საიუბილეო კონცერტზე ბავშვებს „ოცნების“ მასიურები ჩავაცვით და ისე გამოვედით... ურთიერთობა პირადად ივანიშვილთან არ მქონია, მაგრამ ვთხოვეთ და დავაფინანსეს — ეტაპობრივად, 14 ათასი დოლარი გადმოვივრიცხეს და ეს კონცერტი, რომ იტყვიან, წვლებით ჩავატარეთ. ივანიშვილს ამის გამო მადლობაც გადავუხადე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის, რაც ჩემს ქვეყანაში ხდება და არ მომწონს, არ ვთქვა.
— კონკრეტულად, რა არ მოგწონთ?
— თქვენ რა არ მოგწონთ?
— არ მომწონს, მაგალითად, დანგრეული გზები, ლარის გაუფასურება...
— მეც იგივე არ მომწონს, რაც თქვენ და ხალხს არ მოგწონთ...
— ხალხის სახელით რატომ ლაპარაკობთ?
— ხალხის სახელით კი არ ვლაპარაკობ, ვგრძნობ, ხალხს რა არ მოსწონს.
— ...პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილზე რა აზრის ხართ?
— საერთოდ, ეს ხელისუფლება არაა მისაღები! არც მიმა მომწონდა და არც — შევარდნაძე.
— ბატონო ნიკო, მოდი, ახლა ცოტა ვიფანტავთ — დღეს ქვეყნის მმართველი რომ იყოთ, პირველად რას გააკეთებდით?
— იმ გეგმას, რომელიც შედგენილი მაქვს, განვახორციელებდი.
— ეს რაღაც მითიური გეგმაა...
— ამ გეგმას ჯერ არ ვამხელ...
— გეგმა წერილობითი სახით არსებობს?
— რა თქმა უნდა...
— სად ინახავთ? მოგპარავთ!
— (იცინის) ვერ მომპარავთ!
— შეხვედრაზე უცნობთან ერთად მოხვედით, მანამდე კი, თქვენი კიდევ ერთი ახლობელი მოვიდა... ვიფიქრე, დაცვიო დაღის-მეთქი...
— ახლობლები არიან და მიცავენ კიდევ...
— საფრთხე გეშუქრებათ?
— რაღაც-რაღაც ინფორმაცია მაქვს, მაგრამ არ მეშინია...
— კარგი, რა, ნიკო ბატონო, თავდასხმაზე პოლიტიკური „კიტები“ არ ლაპარაკობენ და...
— ბევრი პოლიტიკოსისგან მსმენია...
— მოკლედ, პოლიტიკურ ანგარიშსწორებას ელით?
— ვნახოთ... სიფრთხილეს თავი არ ტკივა...
— ...რისი გეშინიათ?
— ღმერთის!
— სიმბოლურია: სიონის ეზოში ვსაუბრობთ... თქვენს ყველაზე დიდ ცოდვად რას თვლით?
— ბევრ რამეს... ეს პირადულია და აღსარებას მოძღვარს ვაბარებ...
— საკუთარ თავს რას ვერ აპატიებთ?
— სიცრუეს.
— დავიჯერო, არასოდეს გიცრუიათ?
— საჭიროებისამებრ, თუმცა ამ სიცრუეს რაღაც ისეთი შედეგი არ მოუტანია, პირიქით, შეიძლება, სასიკეთოც იყო...
— აეროპორტში, ქართულ მიწაზე ფეხი რომ დადგით, რა იგრძენით?
— სუნთქვა შემეკრა!
— დიდხანს?
— საკმაოდ...
— ის პატარა ნიკო ნადირაშვილი, რომელიც ძალიან პოპულარული იყო, გენატრებათ?
— ახლა პოპულარული აღარ ვარ?
— იმ დროსთან შედარებით, მგონი, არა, თან საზოგადოება სალამურზე დამკვირვებელი იცნობს და არა პოლიტიკოსს...
— ამასაც გაიგებენ... საზოგადო მოღვაწეობა რას ნიშნავს? მაშინაც, ბავშვობიდან, საზოგადო მოღვაწე ვიყავი...
— დღესაც საზოგადო მოღვაწე ხართ თუ პოლიტიკოსი?
— ეს თქვენ უნდა თქვათ, ჩემი ვვარ-სახელი მაქვს, სამშობლო და ხალხი მიყვარს...
— სალამურზე დაკვრა ვინ გასწავლათ?
— მამაჩემმა...
— ესე იგი, თქვენს პერსონალ ჩამოყალიბებაში „დამნაშავე“ სალამურია?
— დამნაშავეს ვერ ვიტყვი... სხვათა შორის, ჩემი პირველი

სალამური, რომელზეც მამამ დაკვრა მასწავლა, ფოთში, ჩემი ანგარდაცვლილი მეგობრის, ვალერი გეგეძის ოჯახში ინახება — ვაჩუქე.
— არ მინდა, გაბრაზდეთ, მაინც პრეზიდენტობის მომავალი კანდიდატი ხართ, მაგრამ... სოციალურ ქსელში იხუმრეს და ქართული ზღაპრისა „სალამურას თავდადასავალი“...
— როგორ გეკადრებათ, ეს ჩემთვის არაფერია, არც მწყენია! აქ სიყვარულისთვის ჩამოვედი, სამტროდ ხომ არ ჩამოვსულვარ! მინდა, ჩემი ქვეყანა ბედნიერი იყოს, ხალხი გავაერთიანო და ერთად დავდგეთ...
— ვთქვათ, პრეზიდენტი გახდით, ავლაბრის რეზიდენციაში იცხოვრებთ?
— არა.
— სიღვრეთან დარჩებით?
— იქ ვიცხოვრებ, სადაც ჩემი სახლი იქნება...
— აკი, სახლი არ მაქვსო?
— შევიძენ.
— პრეზიდენტი რომ გახდებით?
— არა, მანამდე...
— პრეზიდენტ ნადირაშვილს ხელფასი რამდენი ექნება?
— ყველაზე დაბალი... ყველაფერი გეგმაში გვაქვს განვირგინო... მთავარია, მოსახლეობა იყოს ბედნიერი... ისე, ჯერ პოლიტიკოსად ნუ ჩამთვლით. უბრალოდ, ჩამთვალეთ ქართველ კაცად, რომელსაც თავისი ქვეყნისთვის ბედნიერება უნდა. პოლიტიკოსად იმ დღიდან ჩამთვალეთ, როცა ის დრო მოვა, საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭი რომ უნდა ვიყარო...
— ბედნიერი ხართ?
— რა თქმა უნდა...
— თქვენი სამშობლო გაჭირვებულია და მაინც ბედნიერი ხართ?
— ამ წუთას ბედნიერი ვარ, რადგან სამშობლოში ჩამოვედი.
— საქართველოში დასაბრუნებლად 27 სექტემბერი რატომ შეარჩიეთ?
— იმიტომ, რომ ჯვართამაღლებია. 27 სექტემბერი სოხუმის დაცემის დღედ ითვლება, მაგრამ არ მივიჩნევ, რომ სოხუმი დაცემულია, სოხუმს ვერავინ დასცემს!



— საფრთხე გეშუქრებათ?
— რაღაც-რაღაც ინფორმაცია მაქვს, მაგრამ არ მეშინია...
— კარგი, რა, ნიკო ბატონო, თავდასხმაზე პოლიტიკური „კიტები“ არ ლაპარაკობენ და...
— ბევრი პოლიტიკოსისგან მსმენია...
— მოკლედ, პოლიტიკურ ანგარიშსწორებას ელით?
— ვნახოთ... სიფრთხილეს თავი არ ტკივა...
— ...რისი გეშინიათ?
— ღმერთის!
— სიმბოლურია: სიონის ეზოში ვსაუბრობთ... თქვენს ყველაზე დიდ ცოდვად რას თვლით?
— ბევრ რამეს... ეს პირადულია და აღსარებას მოძღვარს ვაბარებ...
— საკუთარ თავს რას ვერ აპატიებთ?
— სიცრუეს.
— დავიჯერო, არასოდეს გიცრუიათ?
— საჭიროებისამებრ, თუმცა ამ სიცრუეს რაღაც ისეთი შედეგი არ მოუტანია, პირიქით, შეიძლება, სასიკეთოც იყო...
— აეროპორტში, ქართულ მიწაზე ფეხი რომ დადგით, რა იგრძენით?
— სუნთქვა შემეკრა!
— დიდხანს?
— საკმაოდ...
— ის პატარა ნიკო ნადირაშვილი, რომელიც ძალიან პოპულარული იყო, გენატრებათ?
— ახლა პოპულარული აღარ ვარ?
— იმ დროსთან შედარებით, მგონი, არა, თან საზოგადოება სალამურზე დამკვირვებელი იცნობს და არა პოლიტიკოსს...
— ამასაც გაიგებენ... საზოგადო მოღვაწეობა რას ნიშნავს? მაშინაც, ბავშვობიდან, საზოგადო მოღვაწე ვიყავი...
— დღესაც საზოგადო მოღვაწე ხართ თუ პოლიტიკოსი?
— ეს თქვენ უნდა თქვათ, ჩემი ვვარ-სახელი მაქვს, სამშობლო და ხალხი მიყვარს...
— სალამურზე დაკვრა ვინ გასწავლათ?
— მამაჩემმა...
— ესე იგი, თქვენს პერსონალ ჩამოყალიბებაში „დამნაშავე“ სალამურია?
— დამნაშავეს ვერ ვიტყვი... სხვათა შორის, ჩემი პირველი

— უცნაურ რამეს ამბობთ...
— ის, რაც მოხდა, სწორედ პოლიტიკოსთა უცნაური პოლიტიკის გამო მოხდა, თორემ წარმოიდგინეთ, ქართველებისა და აფხაზების რამდენი ერთობლივი ოჯახია. სოხუმი ისევე დგას და ის პოლიტიკური სიტუაცია, რომელიც იქაა, სიყვარულით და ერთობით უნდა შეიცვალოს...
— მოდი, ახლა რამე თქვენ მკითხეთ...
— სამშობლო ხომ გიყვართ?
— დიახ, მაგრამ ერთმანეთის პატრიოტიზმს ვერ ავწონებით... ბოლო სიტყვა მითხარით და მოვრჩეთ...
— ყველა ქართველის და არაქართველის წინაშე, ვისაც ჩვენი ქვეყანა უყვარს, გულითა და სულით, ქედს მოვიხრი... დროა, გავერთიანდეთ!
— „ოცნებამ“ კულტურის მინისტრობა რომ შემოგთავაზოთ, დათანხმდებით?
— არა, რადგან ვთვლი, რომ 1991 წლის შემდეგ, ყველა ხელისუფლება...
— ხუნტაა?
— ხელისუფლება იარაღით დაამხეს, პრეზიდენტი მოკლეს, კონსტიტუცია, ეროვნული დროშა, გერბი და ჰიმნი შეცვალეს. გამოვიდეს რომელიმე პოლიტიკოსი და თქვას, რომ ეს არ მომხდარა... ის, რაც მოსახლეობას წაართვეს, უნდა აღდგეს!
— ბატონო ნიკო, დამპირდით: თუკი პრეზიდენტი გახდებით, პირველ ინტერვიუს მომცემთ, თან პირადად ჩემთვის, სალამურზეც დაუკრავთ!
— სალამური რომ მქონდეს, ახლაც დაუკრავდი!
— მგონი, ერთი კითხვა გამოგრჩათ.
— რომელი?
— განვაცხადე, რომ არც ერთ პოლიტიკოსს, პოლიტიკურ პარტიას და მას, ვისაც 1991 წლის მერე პოლიტიკოსთან ოდნავ შეხება ჰქონია, არ ვაეკარებ!
— ხალხი მუდამ მესიას ელოდება და ჰგონია, რომ ცხენით მოვა, თქვენ კი, თვითმფრინავით ჩამოხვედით...
— ასე არ შეიძლება...
— გაბრაზდით?
— არა, მაგრამ სწორი არაა. პოლიტიკაში მესია რა შუაშია?...
— წარმატებებს გისურვებთ, ბატონო ნიკო...
— ღმერთმა დაგლოცოთ!..



ანა ძალადობა



ოჯახში ძალადობა და მისი ფორმები

ოჯახში ძალადობას მრავალი ფორმა შეიძლება ჰქონდეს. ბიჭები შესაძლოა სექსუალური და ფიზიკური აგრესიის მსხვერპლნი გახდნენ. ოჯახის უმწეო და ხანშიშესული წევრები ოჯახური ძალადობისაგან თანაბრად დაუცველი არიან. ხდება ისეც, რომ მამაკაცებიც განიცდიან ოჯახში ძალადობრივ ზემოქმედებას, მაგრამ ოჯახთან ან ინტიმურ ცხოვრებასთან დაკავშირებული ძალადობისგან დაზარალებულთა დიდი უმრავლესობა ქალები და გოგონები არიან.

ოჯახში ძალადობის ასეთი გენდერული ხასიათი შეგვახსენებს, რომ მსოფლიოში ქალები ძალადობისაგან მხოლოდ იმიტომ იტანჯებიან, რომ ქალები არიან. გაეროს დეკლარაცია ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ, ოჯახურ ძალადობას განსაზღვრავს, როგორც „გენდერულ საფუძველზე ჩადენილ აქტს, რომელიც ფიზიკურ, სექსუალურ ან ფსიქოლოგიურ ტრავმას აყენებს ან შეუძლია მიაყენოს ქალებს, მათ შორის ასეთ ქმედებასთან დაკავშირებული მუქარა, თავისუფლების იძულებითი ან თვითნებური აღკვეთა, განურჩევლად იმისა თუ სად ხდება, საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში“.

საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვას ეხება, საშუალებას გვაძლევს ოჯახურ ძალადობაზე ისე ვილაპარაკოთ, როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევაზე. ოჯახში ძალადობა თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა. მას არ გააჩნია კულტურული, სოციალური, ეკონომიკური, კლასობრივი, რელიგიური ან ტერიტორიული საზღვრები. ამიტომ ეს პრობლემა გლობალური ხასიათის მატარებელია. პრობლემის სიმწვავეს განაპირობებს ის გარემოებაც, რომ ამ ტიპის ძალადობა ხდება ოჯახში, ოჯახის წევრებს შორის და ფართო საზოგადოებისათვის ხშირად დაფარულია. დღეისათვის მრავალმა სახელმწიფომ აღიარა ოჯახში ძალადობის პრობლემა. ამ ქვეყნების რიცხვშია საქართველოც,

რომელმაც 2006 წელს მიიღო კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“.

რას გულისხმობს ოჯახში ძალადობა?

ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას, რომელიც გამოხატულია ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით. ძალადობის თითოეული ფორმა ასეა განმარტებული: **ფიზიკური ძალადობა:** ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს.

ფსიქოლოგიური ძალადობა: შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას იწვევს.

ეკონომიკური ძალადობა: ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების. აგრეთვე, თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას;

სექსუალური ძალადობა: სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ; იძულება: ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ანდა რომლისგანაც თავის

შეკავება მისი უფლება ან საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება; თუმცა, საქართველოში, მხოლოდ ფიზიკურ ძალადობის შემთხვევაში მიმართავენ სამართალდამცვეებს, ისიც იშვიათად, თუკი გაუსაძლის მდგომარეობამდე მივლენ. ბევრმა ოჯახში ძალადობის მსხვერპლმა არც კი იცის, რომ მათ უფლებებს კანონი იცავს.

როგორ იცავს სახელმწიფო ოჯახში ძალადობის მსხვერპლს?

დამცავი და შემაკავებელი ორდერები ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირებისათვის უფლებამოსილი ორგანოს მიერ მსხვერპლთა დაცვისა და მოძალადისათვის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად დროებითი ღონისძიების სახით, გამოიცემა დამცავი და შემაკავებელი ორდერები:

დამცავი ორდერი არის პირველი ინსტანციის სასამართლოს (მოსამართლის) მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გადმოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის დროებითი ღონისძიება.

შემაკავებელი ორდერი არის პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ უშუალოდ ოჯახში ძალადობის ფაქტის დროს გამოცემული აქტი, რომელიც განსაზღვრავს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის დროებით ღონისძიებებს.

ვის შეუძლია დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნა?

დამცავი ორდერი შეიძლება მოითხოვოს თავად მსხვერპლმა, აგრეთვე, მისი ოჯახის წევრმა ან, მსხვერპლის თანხმობით პირმა, რომელიც მსხვერპლს უწევს სამედიცინო, იურიდიულ, ფსიქოლოგიურ დახმარებას, ხოლო ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევაში-ასევე, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ.

გაგრძელება შემდეგ გვერდზე

2015 წლის 8 თვეში პოლიციამ მოსახლეობასთან ოჯახური ძალადობის თემაზე 2182 შეხვედრა ჩაატარა

შინაგან საქმეთა სამინისტრო შემაკავებელ ორდერებზე ოფიციალურ სტატისტიკას აქვეყნებს. 2015 წლის 8 თვის მონაცემებით, პოლიციელებმა მოსახლეობასთან ოჯახში ძალადობის საწინააღმდეგო კამპანიის ფარგლებში 2182 შეხვედრა ჩაატარეს.

ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, მიმდინარე 8 თვეში საქართველოში სულ დაფიქსირდა ოჯახში ძალადობის 634 შემთხვევა, მათგან დევნა დაიწყო 564 შემთხვევაზე.

დამცავი და შემაკავებელი ორდერების სტატისტიკა

ბოლო სამი წლის მანძილზე სასამართლოებში იმატა დამცავი და შემაკავებელი ორდერების გამოცემის რიცხვმა. 2013 წელს საქართველოს საერთო სასამართლოებმა დაამტკიცეს 60 დამცავი და 249 შემაკავებელი ორდერი. 2014 წელს – 102 დამცავი და 975 შემაკავებელი ორდერი, ხოლო 2015 წლის 6 თვის მონაცემების თანახმად, სულ რაიონულმა სასამართლოებმა განაცხადი გამოიტანეს 82 დამცავი და 1463 შემაკავებელი ორდერის დამტკიცების თაობაზე.

როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ირკვევა, მკვეთრად არის გაზრდილი შემაკავებელი ორდერების რაოდენობა, რაც ოჯახში კონფლიქტის დროს პოლიციის გააქტიურებით აიხსნება. შემაკავებელ ორდერს სასამართლოში დასამტკიცებლად სწორედ პოლიცია წარადგენს.

საქართველოში ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა რამდენიმე თავშესაფარია (თბილისში, შიდა ქართლში და იმერეთში). 2014 წელს ოჯახში ძალადობის ცხელმა ხაზმა უფასო კონსულტაცია 272 ადამიანს გაუწია.

ცხელი ხაზის ნომერია 2 309 903 და ნებისმიერ დროს შეუძლიათ დარეკონ ოჯახში ძალადობის მსხვერპლებმა.

ოჯახში ძალადობა და მისი ფორმები

დასაწყისი წინა გვერდზე

რაც შეეხება შემთავებელ ორდერს, მას გამოსცემს პოლიცია და მას დასამტკიცებლად წარადგენს სასამართლოში.

ასევე, სასამართლო განსაზღვრავს და თავის გადაწყვეტილებაში მიუთითებს, მსხვერპლის დაცვის მიზნით დაცვის რომელი ღონისძიება გამოიყენოს.

ეს შეიძლება იყოს: მოძალადისგან მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის გარიდებისა და თავშესაფარში მათი მოთავსების საკითხები, მოძალადისთვის თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლების აკრძალვა, ბავშვისაგან მოძალადის განცალკევების, მასთან შეხვედრისა და ურთიერთობის რეგულირების საკითხები, მსხვერპლთან, მის სამსახურთან და სხვა ადგილებთან, სადაც მსხვერპლი იმყოფება მოძალადის მიახლოების შეზღუდვა/აკრძალვა, მოძალადისთვის იარაღით, მათ შორის, სამსახურებრივ-სამშობაო იარაღით, სარგებლობის უფლების შეზღუდვა, ასევე იარაღის შექმნის ან შექმნაზე ნებართვის მოპოვების უფლების აკრძალვა.

როგორ ხდება ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მოთავსება თავშესაფარში?

უშუალოდ ოჯახში ძალადობის ფაქტის არსებობისას, ოჯახში ძალადობის მსხვერპლის მოთხოვნით, სამართალდამცავი ორგანოები უზრუნველყოფენ მის თავშესაფარში გადაყვანას. თავშესაფარი ემსახურება მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაციას, იურიდიულ და სამედიცინო დახმარებასა და დაცვის ღონისძიებებს. თავშესაფარში ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მოთავსება ხდება მასზე დამოკიდებული პირებითურთ (შვილები ან/და მშობლები). თავშესაფარში პირის მოთავსება ხდება 3 თვემდე ვადით. საჭიროების შემთხვევაში ეს ვადა გაგრძელდება თავშესაფარის წესდებით (შინაგანაწესით) დადგენილი წესით. პირის სახელმწიფო თავშესაფარში გადაყვანას გარდა სამართალდამცავი ორგანოებისა, ასევე უზრუნველყოფს სახელმწიფო ფონდი. სახელმწიფო თავშესაფარში მოთავსებისათვის საჭიროა, პირს განსაზღვრული ჰქონდეს ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსი. ოჯახში ძალ-

ადობის მსხვერპლთა თავშესაფარში მოთავსების შემთხვევაში პირს უნარჩუნდება სამუშაო ადგილი იმავე თანამდებობაზე. ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსს განსაზღვრავენ: სასამართლო ორგანოები, შესაბამისი დამცავი ორდერის გამოცემით; სამართალდამცავი ორგანოები (პოლიცია) შესაბამისი შემთავებელი ორდერის გამოცემით; მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფი ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლისთვის „ოჯახში ძალადობის მსხვერპლი“-ს სტატუსის მინიჭებით.

სახელმწიფო ფონდი ოჯახში ძალადობის ყველა მსხვერპლს ეხმარება. დახმარება ითვალისწინებს:

- ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარით მომსახურებას (საჭიროების შემთხვევაში);
- სამართლებრივ დახმარებას;
- ფსიქოლოგიურ დახმარებას; პირველად და გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებას;
- ოჯახსა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობას.



რას ნიშნავს ბენდერი?

ბენდერი – სოციალური სქესია, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის სოციალურ როლსა და ქცევას და მისდამი საზოგადოების დამოკიდებულებას.

ბენდერული თანასწორობა – ნიშნავს ქალესა და მამაკაცებს შორის ფუნქციების, მოვალეობების, უფლებების თანაბარ განაწილებას ცხოვრების ყველა დონეზე.



ოჯახში ძალადობის შედეგები

ოჯახში ძალადობა მოქმედებს ადამიანის, როგორც ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, ასევე აისახება მის სოციალურ ურთიერთობებზე.

- ოჯახში ძალადობა**
- ფიზიკური ჯანმრთელობის დარღვევები**
- ნერვული სისტემა
 - ენდოკრინული სისტემა
 - ძვალსახსროვანი სისტემა
 - სასქესო სისტემა
 - საჭმლის მომნელებელი სისტემა
 - გულსისხლძარღვთა სისტემა
 - საშარდე სისტემა
 - დერმატოლოგიური სისტემა
 - სასუნთქი სისტემა
- ფსიქიკური ჯანმრთელობის დარღვევები:**

- დაბალი თვითშეფასება
- უნდობლობა
- თვითდანაშაულის გამოკვეთილი ტენდენციები
- მაღალი შფოთვა
- დეპრესია
- ნარკომანია/ალკოჰოლიზმი
- აუტოაგრესია(აგრესია მიმართული საკუთარი თავის მიმართ)
- ფიქრები თვითმკვლელობაზე
- თვითმკვლელობის მცდელობები
- პოსტტრავმატული სტრესული აშლილობა

- სოციალური ურთიერთობის პრობლემები:**
- სოციალურ ურთიერთობებში შესვლის, კონტაქტის დამყარების სირთულეები
 - იზოლაცია/კარჩაკეტილობა
 - პასიური ცხოვრებისეული პოზიცია
 - უნდობლობა გარშემომყოფებისა და გარემოს მიმართ
 - მსხვერპლად ყოფნის მუდმივი მდგომარეობა.
- დამატებითი შედეგები ბავშვებსა და მოზარდებში:**

- სირთულეები თანატოლებთან ურთიერთობაში
- აკადემიური მოსწრების დაქვეითება
- მსხვერპლის ან მოძალადის როლის აღება
- ჰიპერაგზნება და კონცენტრაციის პრობლემები
- თავისთავში ჩაკეტილობა
- ენურეზი (უნებლიე შარდვა)
- თვითმკვლელობასთან დაკავშირებული (სუიციდური) ფიქრები
- თვითმკვლელობის მცდელობები



ეს საინტერესოა

სახელმწიფო პოლიტიკის სახეები ქალთა საკითხებთან მიმართებით შეიძლება იყოს:



■ პატრიარქალური

ქალისა და მამაკაცის ფუნქციების განსაზღვრული განაწილების კონცეფციას ეფუძნება

■ პატერნალისტური

ქალისა და მამაკაცის იურიდიული და სოციალური თანასწორობის პრინციპზეა აგებული

კანონები ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ სხვადასხვა ძველ ხანებში სხვადასხვა დროს მიიღეს

- ინგლისი – 1975 წელი
- საფრანგეთი – 1993 წელი
- დანიის – 1978 წელი
- ავსტრია – 1979 წელი
- შვეიცია – 1978 წელი

ქალის უფლებათა დაცვა აღაზიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიხედვით:

RIGHTS of WOMEN

მუხლი 1 – თანასწორობის უფლება

მუხლი 2 – დისკრიმინაციისაგან თავისუფლების უფლება

მუხლი 7 – კანონის წინაშე თანასწორობის უფლება

მუხლი 16 – ქორწინებისა და ოჯახის უფლება

მუხლი 23 – სამუშაოს არჩევის უფლება და პროფკავშირებში განწევრიანების უფლება

საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ აღბენს



International Covenant on Civil and Political Rights

მუხლი 2 – თანასწორობის პრინციპი

მუხლი 3 – სამოქალაქო და პოლიტიკური თანასწორობა ქალსა და მამაკაცს შორის

მუხლი 23 – ოჯახის დაცვა და იძულებითი ქორწინებისაგან თავისუფლების უფლება

რა უნდა ვიცოდეთ ოჯახში ძალადობის შემთხვევაში:



- ეცადეთ უშუალოდ კონფლიქტის დროს არ იყოთ სამზარეულოში, სადაც ბევრი რამ შეიძლება გამოყენებული იყოს, როგორც ცივი იარაღი
- საჭიროების შემთხვევაში მიმართეთ სამედიცინო დაწესებულებას
- თქვენი და თქვენი შვილების დოკუმენტაციას და აუცილებელ ნივთებს წინასწარ მიუჩინეთ უსაფრთხო ადგილი, იმ შემთხვევისას, თუკი მოულოდნელად მოგიწიათ სახლის დატოვება, იოლად შეძლებთ აუცილებელი დოკუმენტაციისა და ნივთების თან წაღებას.



- თუკი არის ამის შესაძლებლობა, წინასწარ მოელაპარაკეთ მეზობელს, რომ თქვენი საცხოვრებელი ადგილიდან ხმაურის გამოსვლის შემთხვევაში, მან დარეკოს პოლიციაში და შეატყობინოს მეზობლად ოჯახში ძალადობის ფაქტის შესახებ.



დაზიანებები ფოტოაპარატით ან მობილური ტელეფონით.

- მიმართეთ ახლობლებს, შექმენით თქვენს გარშემო მხარდამჭერი ქსელი იმ ადამიანებისგან, ვისაც ენდობთ. ხოლო თუკი ხედავთ, რომ თქვენი ფსიქოემოციური მდგომარეობა არ უმჯობესდება, ეძებთ დახმარება სპეციალისტებთან (ფსიქოლოგთან, ექიმთან.)



- ძალადობის ფაქტის შემდეგ, რაც შეიძლება დროულად დააფიქსირეთ ძალადობის ფიზიკური ნიშნები, ამისათვის მიმართეთ პოლიკლინიკას, ექსპერტიზას, უკიდურეს შემთხვევაში დააფიქსირეთ

პოლიციის მოვალეობები:

პოლიცია ვალდებულია ოჯახში ძალადობის ფაქტის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება და განაოხრციელოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.

ძალადობის ფაქტის შესახებ შეტყობინების მიღების შემთხვევაში პოლიცია ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოცხადდეს შემთხვევის ადგილზე, მიუხედავად იმისა, თუ ვინ მიმართა პოლიციის ორგანოებს დაზარალებულმა თუ ძალადობის მონაწილემ.


ძალადობის ფაქტის არსებობის შემთხვევაში პოლიცია ვალდებულია:

- მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები ოჯახში ძალადობის ფაქტის აღსაკვეთად;
- განცალკავებულად გამოიკითხოს ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლი, მონაწილე, მოძალადე, მათ შორის, არასრულწლოვანი, რაც წერილობით უნდა დააფიქსირდეს;
- ოჯახში ძალადობის მსხვერპლს მიანოდოს ინფორმაცია მისი უფლებების შესახებ;
- მსხვერპლის მოთხოვნით ან გადაუდებელ შემთხვევაში უზრუნველყოს მისი გადაყვანა სამედიცინო დაწესებულებაში;
- მსხვერპლის მოთხოვნით ან

გადაუდებელ შემთხვევაში უზრუნველყოს მისი ან/და არასრულწლოვანის გადაყვანა თავსესაფარში.

- მსხვერპლის სხვა ადგილზე გადაყვანის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი საცხოვრებელი ადგილიდან პირველადი საჭიროების ნივთების და საიდენტიფიკაციო დოკუმენტების წამოღება;
- უზრუნველყოს იმ პირის უსაფრთხოება, რომელმაც განაცხადა ძალადობის ფაქტის შესახებ;
- კანონით დადგენილი წესითა და პირობებით გასცეს შემაკავებელი ორდერი.





თბილისის საქალაქო სასამართლოში იმპროვიზირებული პროცესის მონიტორინგი

2015 წლის 1 ივნისიდან თბილისის საქალაქო სასამართლოში მონიტორინგის ჯგუფის წევრები იმ სასამართლო პროცესებს აკვირდებიან, სადაც დამცავი და შემაკავებელი ორდერების განხილვა ხდება. მონიტორინგის ჯგუფი იურისტებისა და ფსიქოლოგისგან შედგება.

პროექტს ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო ინიციატივები დემოკრატიისა და გენდერული თანასწორობისთვის“.

პროექტის მიზანია მონიტორინგის შედეგად წარმოაჩინოს და გაანალიზოს დამცავი და შემაკავებელი ორდერების სასამართლო განხილვის პროცესში არსებული მდგომარეობა, როგორც პროცესუალურ, ასევე, ფსიქოლოგიურ სფეროში. პროექტი მიზნად ისახავს ასევე ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ კანონისმიერი მოქმედებების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდას, რაც დაეხმარება მოქალაქეებს იყვნენ უფრო მობილიზებული და ამალდეს მათი სამოქალაქო პასუხისმგებლობა ოჯახში ძალადობის ნებისმიერი ფორმის წინააღმდეგ.

პროექტის განხორციელებას ფინანსურად უზრუნველყოფს „ქალთა ფონდი საქართველოში“. მონიტორინგის თბილისის საქალაქო სასამართლოში 30 ნოემბრამდე იმუშავებენ.

ფსიქოლოგი ნინო ქარსლაძე

თბილისის საქალაქო სასამართლოში, პარასკევს (17.07.2015წ.), 16:10სთ-ზე გაიმართა სასამართლო პროცესი, მომჩივანი მხარის (ს.კ) მიერ დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით, სავარაუდო მოძალადის (ნ.ყ) მიმართ.

რთული სასამართლო პროცესის შემდეგ, რომელიც ხუთი საათის განმავლობაში გრძელდებოდა, მოსამართლემ გამოიტანა გადაწყვეტილება და დააკმაყოფილა განმცხადებლის (ს.კ) მოთხოვნა.

კონკრეტულმა პროცესმა ჩემზე, როგორც დამსწრეზე და არა პროექტის მონაწილეზე ძლიერი ზეგავლენა მოახდინა, ვინაიდან მთლიანად სასამართლო

პროცესის მსვლელობა მძაფრი ემოციური დაძაბულობის ფონზე მიმდინარეობდა. ვითარება განსაკუთრებით დაძაბა მაშინ, როდესაც სავ. მოძალადემ ნ.ყ-მ მოწმედ მოიხმო მისი ყოფილი მეუღლის დედა და დეიდა, ისინი დარწმუნებული იყვნენ სიძის უდანაშაულობაში და მომხდარს მხოლოდ ს.კ-ს აბრალებდნენ. მსგავსი შემთხვევა მეტად უცნაური, თითქოს არადამაჯერებელი ხასიათის იყო, ვინაიდან საკუთარი შვილის განირვა და დადანაშაულება დაუჯერებელ ამბად მესახებოდა.

საკუთარი ემოციური ფონის გაკონტროლება გაუჭირდა ს.კ-საც, რომელიც მხოლოდ მეგობრებთან ურთიერთობდა და კარგა ხნის მანძილზე მშობლებთან

კომუნიკაცია განწყვეტილი ჰქონდა. შემეცოდა გოგონა, ვინაიდან იგი მარტოვლა დედა და ზრდის პატარა ქალიშვილს. თავი მის ადგილას წარმოვიდგინე და ნამდვილად დავძიძიდი არსებული სიტუაციიდან გამომდინარე.

სასამართლო აბსოლუტურად ცდილობს ქალის უფლებები არ დაირღვას და ალკვეთონ ნებისმიერი სახით განხორციელებული ძალადობრივი ფაქტები მათ მიმართ, ეს ყოველივე იმედისმომცემად მესახება და მამშვიდებს, ვინაიდან მოძალადის ბუნება არ იცვლება და ამ ქალებს ნამდვილად სჭირდებათ დაცვა, ნებისმიერი საზოგადოებრივი სახის თანადგომა და ტოლერანტული დამოკიდებულება.



ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები:

სახელმწიფო თავშესაფარი ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის
საკონტაქტო ტელეფონი: 2-309-903

ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი
ქსელი მუშაობს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სამართლებრივი დაცვისა და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მიმართულებით. თბილისსა და რეგიონებში აქვს კრიზისული ცენტრები.
თბილისის ცენტრის საკონტაქტო ტელეფონი: 2-72-67-17

კავშირი „საფარი“
კავშირს გააჩნია ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის დროებითი თავშესაფარი და ასევე ახორციელებს პროგრამებს ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის მიმართულებით.
საკონტაქტო ტელეფონი: 2-22-06-89

ქალთა საკონსულტაციო ცენტრი „სახლი“
ცენტრი წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც მუშაობს ოჯახში ძალადობის პრობლემებზე. ცენტრის ბაზაზე შეიქმნა და ფუნქციონირებს კრიზისული ცენტრები თბილისსა და რეგიონებში,

რომელიც მოიცავს შემდეგ სერვისებს: ფსიქოლოგიურ, იურიდიულ და სამედიცინო კონსულტაციას.
საკონტაქტო ტელეფონი: 2-23-21-02

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
ორგანიზაცია ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სამართლებრივ დაცვას უზრუნველყოფს თბილისსა და საქართველოს რეგიონებში, ასევე, მუშაობს კანონმდებლობის იმპლემენტაციასა და შემდგომ დახვეწაზე. თბილისი, კრილოვის ქ. N15.
საკონტაქტო ტელეფონი: 2-93 61-01; 2-95-23-53
ცხელი ხაზი: 2-99-50-76


1.(ძვ.) ცხოველთა თაყვანისცემა										2. გულის დაავადებათა მკურნალი ექიმი														
3. ტყეშილი ხაზი		4. (ძვ.) პლანეტა მერკური		5. ძირითადი აზრი, რაობა		6. ცხენების ჯოგი						7.(მათ.) ფსვის ამოღების ნიშანი		8. ჯეიმს კუკის სომხალი		9. რქბდახრილი ხარი		10. ინდუსების მოძღვარი						
11.სახელმწიფო მემკვიდრეობის მემკვიდრეობა		12. მორთულ-მოკაწმული კომიონი		13. მქსოვილი ქალი ბერძ. მით.		14. გავლურებული ცხენი									15. ბებური დიაცი, ქალი		16. ქიმ. ელემენტი, იმფიითი მებალი		17. სამ-ჩაბლის „დედაქალაქი“		18.მილომ ფორმანის ფილმი მოცარტზე			
				19. მორივე ბოლოთი დამეგობრობა წყება		20.კომპოზიტორი -- მორიკონე													21. თმის მცენარეული საღებავი		22. კუბური სასმელი პიტნით			
23.სავაზო მშენებელი სმარტული ფისი																24.ახალწელანდორი უფრო ფრინველი								
																								25.ვაზის დაავადება, იგივე ჭრაქი
																								26. ბაპრინის ფულის ერთეული
	27. ურიცხვი, უფავლაფი		28. ქიმიური ელემენტი, მეტალი					29. ოსური ცეკვა												30. იტალიური კინოს ლეგენდა				
	31.ივია, რაც ავადმყოფობა					32. იტალიის დედაქალაქი					33. ვეგეტარიანელების „ხორცი“		34. მიმართვა ფრანგი მამაკაცისადმი		35.ქალაქ კულუჯას მთიანი სასული		36. ზღვის პატარა ყურე		37. დეკორატიული ძაღლი		38.გაერთა მეთაური „ვეფხისტყაოსანში“			
	39. ჭამის სურვილი		40.წვეტ-წანაზარდი მცენარის ღეროზე					41. პარიზის აეროპორტი							42. ქანდაკება მკერდამდე									
				43. მომღერალი -- ბიჩელი							44. შხამიანი ბუჭი													
46.მიმართვა ფრანგი ქალბატონისადმი			47.ფოტოგრაფიული სურათი მინაზე					48. პოეტი -- ნადირაძე						49. არქიტექტურული სტილი										
50. პოეტური გამოცანა		51.სამიანი კამათელზე 52.კათოლიკური წირვა				53. ტოლსტოის „...კარენინა“														55. ფირალი -- დოლიძე				
			57. სასტუმროს მსახური ბიჭი		58. უბედურების საერთაშ. სიგნალი		59. ფრანგული წარმოშობის მფლუბური საბალო ცეკვა		60. ძვ. ფრანგული სიგარეტის ერთეული		61. სოფელი სენაკის რაიონში			62. რუსული შოუ-ბიზნის ვარსკვლავი		63. პოეტი -- საიამი		64.დიდი ფრინველის პაერში ლივლი			56.ქოლონის წანაზარდი ცხოველის თავზე			



კარტოფილი კუჭის წყლულის მკურნალებს

ბრიტანელმა სწავლულმა მანჩესტერის უნივერსიტეტიდან კარტოფილში აღმოაჩინეს უნიკალური მოლეკულა, რომელსაც ჯერ სახელი არ აქვს, სამაგიეროდ კლავს ბაქტერიებს, რომლებიც კუჭში ანთებით პროცესებს პროვოცირებს. ბაქტერია გაცილებით ეფექტურია, ვიდრე ტრადიციული ანტიბიოტიკები, რადგან, მათგან განსხვავებით, ბაქტერიებს რეზისტენტობა არ ახასიათებს. ცნობილია, რომ კუჭის წყლულს იწვევს ბაქტერია Helicobacter pylori, რომლის სამკურნალოდაც ძირითადად, ანტიბიოტიკებს იყენებენ, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი გამოყენება ნაწლავურ მიკროფლორას აზიანებს. ეს კი, თავის მხრივ, იმუნურ სისტემას ასუსტებს, თანაც, ამ დროს ყოველთვის არსებობს გვერდითი მოვლენების რისკი. როგორც ჩანს, ბრიტანელი მეცნიერების აღმოჩენა დამაიმედებელია. კუჭის წყლულის მკურნალობის ახალი მეთოდი უკვე დაპატენტებულია და ალბათ, მალე გაყიდვაში გამოვა „კარტოფილის წვენი“, როგორც საკვები დანამატი. მკვლევარების აზრით, ამ მარტივი მეთოდით, ნებისმიერი ადამიანი შეძლებს თავის დაცვას ბაქტერიული წყლულისა და გულმძარვისგან.

ყველაზე კომფორტული ასაკი მამაკაცებისთვის



სპეციალისტების განცხადებით, ძლიერი სქესის წარმომადგენლები მხოლოდ 54 წლის ასაკში გრძობენ თავს ზრდასრულად. ექსპერტების განცხადებით, დაგვიანებული კომფორტის შეგრძნება ძლიერი ფინანსური ზეწოლისა და გვიანი მამობის შედეგია. სწორედ 54 წლის შემდეგ იწყება ნამდვილი ცხოვრება, რომელიც სიამოვნების მიღების საშუალებას იძლევა. სტატისტიკურად, ბავშვების

ორი მესამედი 30 წელს გადაცილებულ კაცებს უჩნდებათ, შედარებით ახალგაზრდა ასაკობრივ ჯგუფს კი თავდაჯერებულობა აკლია, რომელიც ფიზიკური ნაკლით, ფინანსური პრობლემებითა და სიმარტოვითა გამოწვეული. სპეციალისტთა გამოკვლევამ, რომელშიც 1000-ზე მეტი მოხალისე მონაწილეობდა, აჩვენა, რომ მამაკაცისთვის ყველაზე საშინელი პრობლემა სახლის შეძენის შესაძლებლობის არქონაა. მათ ასევე ძალიან აშინებთ გამელოტება და სამსახურის დაკარგვა. სიბერე არამიმზიდველ ქალარასა და სიმსუქნესთან ასოცირდება. კაცებისთვის პრობლემა ასევე მარტობა, პენსიაზე გასვლის შესაძლებლობის არქონა და შერყეული ჯანმრთელობა.



ვიკინგების კურსები სტუდენტებისთვის

ნორვეგიის ქალაქ სელიურში მდებარე კოლეჯმა ვიკინგების კურსები გახსნა, სადაც სტუდენტებს ხმლის გამოჭედვას, სამკაულების დამზადებასა და ჩაღის სახურავების გაკეთებას შეასწავლიან. როგორც ადგილობრივი პრესა წერს, კურსების გახსნა ქვეყანაში ბოლო დროს ვიკინგების, რაინდებისა და შუასაუკუნეების თემის პოპულარობამ გამოიწვია. ახალგაზრდა კურსებზე ასევე აჩვენებენ, როგორ მართონ ვიკინგების ხომალდი, გაეცნობიან ასევე კერამიკისა და ხეზე მუშაობის ხელოვნებას. როგორც კოლეჯის დირექტორი აცხადებს, მათ უკვე უამრავი განაცხადი მიიღეს სწავლის მსურველთაგან.



ადვილი

სტანდარტი

რთული

ექსპერტი

4x4 grid for 'ადვილი' crossword puzzle.

4x4 grid for 'სტანდარტი' crossword puzzle.

4x4 grid for 'რთული' crossword puzzle.

4x4 grid for 'ექსპერტი' crossword puzzle.

ყველაზე უჩვეულო სასტუმროები



ფუფუნება და ეგზოტიკა ის ძირითადი მახასიათებლებია მსოფლიოში ყველაზე უჩვეულო ოტელისა, რომელთა ყოველ-

რეიტინგის მესამე საფეხურზე იტალიაში, კერძოდ ბოლონიაში მდებარე სასტუმროა — შუა-საუკუნეების კომპის მსგავსი შენობა, სადაც ერთ დროს ციხე იყო.

სკოლის ძეგლი უნიცაზისგან

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ გენიალურობასა და სიგიჟეს შორის ძალიან მცირე ზღვარია. შეგვიძლია მტკიცედ განვაცხადოთ, რომ ჩინელი გამომგონებლის გაო ძიანგუს ნახელავი ამ თეორიის მტკიცებულებაა.



უმდიდრესი ადამიანები მსოფლიო ისტორიაში

ამერიკულმა ყოველკვირეულმა ჟურნალმა Time, მსოფლიოს ყველა დროის ყველაზე მდიდარი და გავლენიანი ადამიანების სია შეადგინა.

არისტოკრატებზე მდიდარი იყო. მეხუთე პოზიციაზე იოსებ სტალინი აღმოჩნდა, რომელიც „მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს ეკონომკას აკონტროლებდა“.

წინა ნომარში გასული სკანდორღისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

4x4 grid for 'ადვილი' crossword puzzle.

სტანდარტი

4x4 grid for 'სტანდარტი' crossword puzzle.

- მე-12 გვერდი: 1. აინშტაინი; 2. მსოფლიო; 3. აბსურდი; 4. ნელსონი; 5. ტესტი; 6. სოფოკლე; 7. ფერმერი; 8. ივლისი; 9. ტროიდი; 10. იასპი; 11. სილოსი; 12. ფირალი; 13. უფვა; 14. აპია; 15. დანი; 16. დიპლომა; 17. კრეუსა; 18. ვენა; 19. პიერ; 20. ედისონი; 21. სინდისი; 22. აპისი; 23. ლოსი; 24. ობელისკი; 25. ფილე; 26. ურანოსი; 27. გაროტე; 28. ავა; 29. ანონიმი; 30. უნაი ემერი; 31. ადიუტანტი; 32. ნადიმი; 33. ბისტრო; 34. იტალიკი; 35. ასფალია; 36. ორგია; 37. ნერბი; 38. აომინი; 39. ეტლი; 40. ელიტა; 41. ამინ; 42. იარა; 43. „ლოლიტა“; 44. ალბორადა; 45. სოხანე; 46. მონაკო; 47. სონა; 48. სეტი; 49. მილიონი; 50. ლიკორი; 51. ნილოსი; 52. სარიდანი; 53. მისია; 54. ელაში; 55. ილფი; 56. ლია; 57. აპატრიდი; 58. კიური; 59. კიი; 60. ბარონი; 61. არია; 62. ურია; 63. დიახ; 64. იდეა; 65. იონი; 66. ოზრა; 67. რიკული; 68. დეგა; 69. ხო; 70. უხა; 71. რადა; 72. იაბო; 73. ეტიუდი; 74. ნირი; 75. ბის; 76. ბადია; 77. დონი; 78. იზაი; 79. ბახუსი; 80. ვატერლო; 81. ხორავა.



